**სახელმწიფო შესყიდვების**
**სააგენტოს თავმჯდომარის**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080163447608822

№ 2228 06 / ივლისი / 2022 წ.

## სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

### აღწერილობითი ნაწილი

**1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 1 ივლისს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SMP220001920 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

**2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება**

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სინქრონული კომპენსატორის დიაგნოსტიკისა და შეკეთების მომსახურების შესყიდვას (CPV50500000 - ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა-დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება), ღირებულებით - 16652.75 ლარი.

**3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება**

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ქვესადგურში „ახალციხე 500“ დაზიანდა 60 მვტ. სიმძლავრის N1 სინქრონული კომპენსატორი, რომელიც საჭიროებს დიაგნოსტიკას და შეკეთებას. სინქრონული კომპენსატორის დანიშნულებაა რეაქტიული ენერგიის გენერირება, ან კომპენსირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქსელში ძაბვის სიდიდის ნომინალურ პარამეტრებში შენარჩუნება. ახალციხის კონვერტორულ სადგურში სინქრონული კომპენსატორის გარეშე შეუძლებელია მუდმივი დენის ჩანართის (HVDC) ჩართვა და ელ. ენერგიის გადაცემა თურქეთის ელ. სისტემაში, რადგან გადასაცემი ენერგიის ძაბვის სიდიდე გაიზრდება მყისიერად და გადააჭარბებს ნომინალურ პარამეტრებს. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელია, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს სინქრონული კომპენსატორის დიაგნოსტიკისა და შეკეთების მომსახურების შესყიდვა. შესყიდვის დაყოვნების შემთხვევაში შეფერხდება ქვესადგურის გამართული ფუნქციონირება და ელ. ენერგიის განაწილება თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ელ. ენერგიის რეალიზაციით მისაღები შემოსავლის დაკარგვას.

**4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება**

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

### სამოტივაციო ნაწილი

**5. შემაჯამებელი დასკვნა**

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17

აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

**6. სააგენტოს შეფასება**

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ქვესადგურში „ახალციხე 500“ დაზიანდა 60 მვტ. სიმძლავრის N1 სინქრონული კომპენსატორი, რომელიც საჭიროებს დიაგნოსტიკას და შეკეთებას. სინქრონული კომპენსატორის დანიშნულებაა რეაქტიული ენერგიის გენერირება, ან კომპენსირება, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქსელში ძაბვის სიდიდის ნომინალურ პარამეტრებში შენარჩუნება. ახალციხის კონვერტორულ სადგურში სინქრონული კომპენსატორის გარეშე შეუძლებელია მუდმივი დენის ჩანართის (HVDC) ჩართვა და ელ. ენერგიის გადაცემა თურქეთის ელ. სისტემაში, რადგან გადასაცემი ენერგიის ძაბვის სიდიდე გაიზრდება მყისიერად და გადააჭარბებს ნომინალურ პარამეტრებს. მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელია, შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს სინქრონული კომპენსატორის დიაგნოსტიკისა და შეკეთების მომსახურების შესყიდვა. შესყიდვის დაყოვნების შემთხვევაში შეფერხდება ქვესადგურის გამართული ფუნქციონირება და ელ. ენერგიის განაწილება თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ელ. ენერგიის რეალიზაციით მისაღები შემოსავლის დაკარგვას.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია გადაუდებელი აუცილებლობის აღმოსაფხვრელად საჭირო შესყიდვა განხორციელდეს მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამავდროულად, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

**სარეზოლუციო ნაწილი**

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SMP220001920 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი